000861122

ექსპერტის დასკვნა № 000861122

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ქიმიური ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ა(ა)იპ ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - CSRDG (Foundation of Centre For Stategic Research and Development of Georgia)

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, იოველ ჯეგაშვილის I გასასვლელი, N 5

სახელი და გვარი: თამარ გობეჯიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

მაია კუთხაშვილი / ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 22 წლის სტაჟით.ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი

ქეთევან ჯაშიაშვილი / ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს ლაბორანტი, სპეციალობით მუშაობის 1 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

„გთხოვთ წარმოდგენილ სურსათის 6 ნიმუშში:

1. „ნენა“ აჯიკა აფხაზური შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა აგრო ჩოხატაური“ - 120 გ, 1 ნიმუში.

2. „ხათოს აფხაზური აჯიკა“ ი.მ. „თამარ ყოლბაია“ - 300 გ, 1 ნიმუში.

3. ტომატის საწებელი ცხარე „სუპრემო“ შპს „ფუდსერვისი“ - 330 გ, 1 ნიმუში.

4. წითელი ტყემალი - შპს „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ - 330 გ, 1 ნიმუში.

5. სუნელები ბოსტნეულისათვის „ვაიმე“ - 50 გ, 1 ნიმუში.

6. წითელი წიწაკა დაფქული „ხომლი“ - შპს „ფარკონი“ - 50 გ, 1 ნიმუში

დაადგინოთ სუდანის ჯგუფის საღებავების შემცველობა.“

შემოსვლის თარიღი: 24/01/2022 წ

გასვლის თარიღი: 15/02/2022 წ

დასკვნა

ქიმიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ნიმუშებში:

- „ნენა“ აჯიკა აფხაზური შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა აგრო ჩოხატაური“;

- „ხათოს აფხაზური აჯიკა“ ი.მ. „თამარ ყოლბაია“;
- ტომატის საწებელი ცხარე „სუპრემო“ შპს „ფუდსერვისი“;
- წითელი ტყემალი - შპს „მარნეულის სასურსათო ქარხანა“;
- სუნელები ბოსტნეულისათვის „ვაიმე“;
- წითელი წიწაკა დაფქული „ხომლი“ - შპს „ფარკონი“

არ აღმოჩნდა საღებავები - Sudan I, Sudan II, Sudan III, Sudan IV, Sudan Red G, Sudan Orange G, Sudan Red 7B, Para Red.

მაია კუთხაშვილი

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია: სეებ ნივთმტკიცების დალუქული პაკეტი, მასში მოთავსებულია 6 დასახელების პროდუქტი (იხ. ფოტოილუსტრაცია), კერძოდ:

1 ცალი მინის ქილა - „ნენა“ აჯიკა აფხაზური, მწარმოებელი: შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა აგრო ჩოხატაური“ 30/07/2021-30/07/2023;

1 ცალი მინის ქილა - „ხათოს აფხაზური აჯიკა“ მწარმოებელი: ი.მ. „თამარ ყოლბაია“;

1 ცალი მინის ბოთლი - ტომატის საწებელი ცხარე „სუპრემო“ მწარმოებელი: შპს „ფუდსერვისი“დამზადებულია: 06.05.2020 გამოიყენება: 06.05.2023-მდე;

1 ცალი მინის ბოთლი - წითელი ტყემალი - მწარმოებელი: შპს „მარნეულის სასურსათო ქარხანა“ 11/07/2021-11/07/2023;

1 ცალი ქაღალდის შეფუთვა - „სუნელები ბოსტნეულისათვის „ვაიმე“, გამოშვების თარიღი: 18.08.2021 პროდუქტის ვარგისიანობის ვადა 12 თვე;

1 ცალი პოლიმერული მასალის შეფუთვა - „წითელი წიწაკა დაფქული „ხომლი“, მწარმოებელი: შპს „ფარკონი“, დამზადების თარიღი: 06.01.21 უმჯობესია გამოყენებულ იქნეს: 06.01.2023-მდე.

სუდანის საღებავების შემცველობის გამოსავლენად ობიექტების კვლევა წარიმართა ბიუროში დანერგილი - კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს მიერ შემუშავებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP) „არასაკვებისმიერი საღებავების შემცველობის განსაზღვრა სუნელ-სანელებლებში და მათ შემცველ საკვებ პროდუქტებში, FTA-NFB-SOP-038“ - მიხედვით. საანალიზოდ აღებულ იქნა თითოეული ობიექტის წარმომადგენლობითი ნიმუში, 1.000 - 1.000 გ ოდენობით, ორი პარალელური ანალიზისთვის. საანალიზო ნიმუშის პარალელურად კვლევა ჩატარდა დადებით და უარყოფით საკონტროლო ნიმუშებზე.

ქრომატოგრაფი: AGILENT TECHNOLOGIES 6460 Triple quad LC/MS AGILENT TECHNOLOGIES 1290 Infinity

სკანირების ტიპი - MRM

თხევად-ქრომატოგრაფიული/ტანდემური მასსპექტრომეტრული ანალიზის შედეგად, ქიმიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ნიმუშებში:

- „ნენა“ აჯიკა აფხაზური შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობა აგრო ჩოხატაური“;
- „ხათოს აფხაზური აჯიკა“ ი.მ. „თამარ ყოლბაია“;
- ტომატის საწებელი ცხარე „სუპრემო“ შპს „ფუდსერვისი“;
- წითელი ტყემალი - შპს „მარნეულის სასურსათო ქარხანა“;
- სუნელები ბოსტნეულისათვის „ვაიმე“;
- წითელი წიწაკა დაფქული „ხომლი“ - შპს „ფარკონი“

არ აღმოჩნდა საღებავები - Sudan I, Sudan II, Sudan III, Sudan IV, Sudan Red G, Sudan Orange G, Sudan Red 7B, Para Red.

000861122

ექსპერტის დასკვნა № 000861122

შენიშვნა: მეთოდი - „არასაკვებისმიერი საღებავების შემცველობის განსაზღვრა სუნელ-სანელებლებში და მათ შემცველ საკვებ პროდუქტებში, FTA-NFB-SOP-038“, აკრედიტირებულია სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 სტანდარტის მიხედვით. აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-TL-0166.

შენიშვნა: ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ნიმუშებიდან კვლევის შემდეგ დარჩენილი ოდენობები უბრუნდება დამნიშნავს, დალუქული სახით, 1 პაკეტად.

მაია კუთხაშვილი

ქეთევან ჯაშიაშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მალხაზ ჯოხაძე

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: პაატა თუშურაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: პაატა თუშურაშვილი

000861122

ექსპერტის დასკვნა № 000861122

ფოტოილუსტრაცია

ფოტო 1



ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო 4